



## სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი

### საინფორმაციო გამოშვებები

24 მაისი - 14 ივნისი 2014

2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველო კვლავ აგრძელებს მედიის მონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი დაიწყო 15 აპრილს და გაგრძელდება 30 ივნისის ჩათვლით. დაკვირვება ხდება სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროზე, კავკასიასა და ტვ3-ზე. მოცემული ანგარიში მოიცავს მედია მონიტორინგის შედეგებს 24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით.

ამ პერიოდში ტელევიზიების სადამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- არხების უმეტესობაზე მზადდებოდა კრიტიკული სიუჟეტები მთავრობისა და ხელისუფლების წევრების მიმართ. რუსთავი 2-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში შედარებით მეტად შეინიშნებოდა მთავრობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. სხვა არხებზე მსგავსი ტენდენციები ასე აშკარად არ შეინიშნებოდა.
- მონიტორინგის ამ პერიოდში არხების უმეტესობაზე საკმაოდ მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი დაუფიქსირდა პრემიერმინისტრს. რაც გამოწვეული იყო ამ პერიოდში მისი წინასაარჩევნო აქტივობებში ჩართულობით, გამართული პრეს-კონფერენციით და კამპანიის ოფიციალურად დახურვით.
- არხების უმეტესობაზე ხშირად შუქდებოდა საარჩევნო კანდიდატების აქტივობები. თუმცა, რუსთავი 2-სა და მაესტროზე საარჩევნო თემა უფრო მეტად ზოგად პოლიტიკურ კონტექსტში განიხილებოდა და ნაკლებად იყო ორიენტირებული კანდიდატების ყოველდღიურ გაშუქებაზე.
- ამ პერიოდში ერთ-ერთი აქტუალური თემა იყო გარდაბანში მომხდარი ინციდენტი, რომელიც ყველა არხზე გაშუქდა (აჭარის ტელევიზიის გარდა). აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა არხებზე ეს შემთხვევა განსხვავებულად გაშუქდა. სხვადასხვა საინფორმაციოს ყურების შემდეგ მაყურებელს განსხვავებული შთაბეჭდილება

დარჩებოდა თუ რა მოხდა გარდაბანში და რა იყო ამის მიზეზი. ზოგმა არხმა აქცენტი პოლიტიკურ სარჩულზე გააკეთა და ინციდენტს პოლიტიკური დაპირისპირება უწოდა, ზოგიერთმა არხმა კი ნეიტრალურად გააშუქა მომხდარი და სიუჟეტში რამდენიმე ვერსია განიხილა.

- აჭარის ტელევიზიაზე მეტი დრო კვლავ ბათუმის მერობის კანდიდატებს დაეთმო.

მონიტორინგის ამ პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მყოფ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად შუქდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები. კანდიდატების კამპანიები, მათი გამოსვლები, მთავრობისა და ოპოზიციური პარტიების განცხადებები არჩევნებთან დაკავშირებით და ა.შ. ამასთან, სხვა ბევრი აქტუალური და მნიშვნელოვანი თემა გაშუქდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ასეთები იყო: 26 მაისი, ასოცირების ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული დეტალები, საგარეო ურთიერთობები და ოფიციალური ვიზიტები, სასამართლო პროცესები, პრემიერმინისტრის პრესკონფერენცია, ნატოში ინტეგრაცია და მაპი, მარიხუანას დეკრიმინალიზაციის საკითხი, ვირუსული მენინგიტი, სტიქიური უბედურებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მსოფლიო ჩემპიონატი და სხვა.

### **საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი**


24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის ყველა სიუჟეტი დაბალანსებული იყო. სიუჟეტების უმრავლესობაში წარმოდგენილი იყო როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციისა და ექსპერტების მოსაზრებები. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა წინასაარჩევნო სიუჟეტებში, როდესაც კონკრეტული პარტიების მხრიდან საუბარი იყო ზეწოლაზე და არ იყო წარმოდგენილი მეორე მხარის პოზიცია. პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები უმეტესად ინფორმაციული და ანალიტიკური იყო. ინფორმაცია კი ამომწურავად გადმოცემული. საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა ყოფილი ხელისუფლების წევრების სასამართლო პროცესები. ასევე ხშირი იყო საქართველოს მთავრობისა და უცხოელი დიპლომატების ვიზიტების შესახებ სიუჟეტები.

გარდაბანში მომხდარი ინციდენტი საკმაოდ ნეიტრალურად გაშუქდა. ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ მომხდართან დაკავშირებით იყო რამდენიმე ვერსია - ზოგი ინციდენტს პოლიტიკური მოტივით ხსნიდა, ზოგი - ეთნიკურით. თუმცა, სიუჟეტებში იმაზეც იყო საუბარი, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ჩხუბი ახალგაზრდებს შორის. ნაჩვენები იყო გუბერნატორისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდაბნის კანდიდატის კომენტარები. ასევე, კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებისა და საპარლამენტო უმცირესობის მოსაზრებებიც და ადგილობრივი მოსახლეობის აზრიც. საერთო ჯამში

სიუჟეტი საკმაოდ დაბალანსებული და ნეიტრალური იყო. მაყურებელს ჰქონდა საშუალება მოესმინა სხვადასხვა მხარის მოსაზრებები.


პირველი არხის სადამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები საკმაოდ ნეიტრალურები არიან, მათ ტექსტებში არასოდეს შეიმჩნევა ტენდენციურობა. თუმცა, ცოტა განსხვავებულია შაბათ-კვირას გასული გადაცემები, სადაც წამყვანის ტექსტი უფრო მეტად შეფასებითი იყო.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, საკმაოდ თანაბარი დრო დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა (26%) და მთავრობას (24%). შემდეგ მოდის პრემიერმინისტრი 12 პროცენტით და კოალიცია ქართული ოცნება 11 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს 7 პროცენტი და ნაკლები დაეთმოთ. ისევე როგორც მონიტორინგის წინა პერიოდში, ახლაც საკმაოდ მაღალია ყველა სუბიექტის მიმართ დაფიქსირებული დადებითი ტონის წილი, რაც ისევ წინასაარჩევნო თემატიკით არის გამოწვეული.



რაც შეეხება მერობის კანდიდატების გაშუქებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა საარჩევნო კამპანიები როგორც თბილისში, ასევე სხვა თვითმმართველ ქალაქებში. შაბათ-კვირის გამოშვებებში მეტად კეთდებოდა აქცენტი ამ თემაზე. იყო როგორც პირდაპირი ჩართვები თოქ-შოუების ფორმატში, ასევე სიუჟეტები სხვადასხვა თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდიდატების შესახებ. შუქდებოდა წინასაარჩევნო შეხვედრებიც. მონიტორინგის ამ პერიოდში თბილისის მერობის კანდიდატებს პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ჯამში 1 საათი და 4 წუთი დაეთმოთ. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა ნიკა მელია (17 წთ).

დავით ნარმანიას, დიმიტრი ლორთქიფანიძეს, კახა კუკავას და სერგო ჯავახაძეს თითქმის ერთნაირი დროის მაჩვენებელი აქვთ - 8 და 7 წუთი. დანარჩენ კანდიდატებს 2 წუთზე ნაკლები ეროთ. რაც შეეხება ტონის წილს, ყველა კანდიდატის შემთხვევაში დადებითი ტონი 56%-ზე მაღალია. აღსანიშნავია, რომ არც ერთ კანდიდატს არ დაუფიქსირდა უარყოფითი ტონით გამოქება.



### აჭარის ტელევიზია


მონიტორინგის ამ პერიოდის (24 მაისი - 14 ივნისი) შედეგების მიხედვით, აჭარის ტელევიზიის სადამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებები დაბალანსებული და ობიექტური იყო. ჟურნალისტები არ ცდილობდნენ რომელიმე მხარის უარყოფითად ან დადებითად წარმოჩენას, ორიენტირებული იყვნენ უშუალოდ მომხდარი ფაქტის გადმოცემაზე.

აჭარის ტელევიზია არჩევნების მოახლოებასთან ერთად უფრო აქტიურად აშუქებდა საარჩევნო კამპანიას. საარჩევნო სუბიექტების შესახებ გაკეთებული სიუჟეტები გამოირჩეოდნენ დაბალანსებულებითა და ინფორმაციულობით. მაყურებელს თითქმის ყოველ დღე მიეწოდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა კანდიდატის საარჩევნო აქტივობების შესახებ. აღნიშნულ სიუჟეტებში ჟურნალისტები ცდილობდნენ გადმოეცათ კანდიდატების დაპირებები და განეხილათ მათი საარჩევნო პროგრამები. გარდა ძირითადი პოლიტიკური სუბიექტებისა ასევე, აქტიურად შუქდებოდა სხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები

და დამოუკიდებელი კანდიდატები.<sup>1</sup> დიდი ყურადღება დაეთმო სოციალური პრობლემების, ადგილობრივი და ინფრასტრუქტურული საკითხების გამოქვას.

აღსანიშნავია, რომ ხშირად აჭარის ტელევიზია არ გამოეხმაურა საქართველოს მასშტაბით მომხდარ ზოგიერთ მნიშვნელოვან მოვლენას. მაგალითად, არ გამოქვებულა 28 მაისს მომხდარი დაპირისპირება გარდაბანში, აგრეთვე მარნეულსა და ზუგდიდში ნაციონალური მოძრაობის წევრებთან დაკავშირებული ინციდენტები. თუმცა, გამოქვდა ბათუმში მომხდარი ანალოგიური ინციდენტი და 7 ივნისის საინფორმაციო გამოშვების ეთერში ამ საკითხთან დაკავშირებით მოწვეული ჰყავდათ გიგი უგულავა.


რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, ყველაზე მეტი დრო ორ პოლიტიკურ პარტიას - ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა (22%) და კოალიცია ქართულ ოცნებას (19%) დაეთმო. ასევე, დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში მოხვდნენ პრემიერმინისტრი (12%) და მთავრობა (10%). საარჩევნო თემატიკის შემცველი სიუჟეტების ზრდასთან ერთად თითქმის ყველა სუბიექტის გამოქვებისას დაფიქსირდა დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები. ზემოაღნიშნულ სუბიექტებს შორის დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერმინისტრს აქვს - 75%. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ის ძირითადად ყველაზე ხშირად გამოქვებულ სუბიექტებს დაუფიქსირდა. მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი მთავრობას აქვს (13%).



მსგავსად მონიტორინგის წინა პერიოდებისა, აჭარის ტელევიზია 24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით მონაკვეთში ყველაზე აქტიურად ბათუმის მერობის კანდიდატებს აშუქებდა. მთლიანობაში კანდიდატებს 59 წუთი დაეთმო. მათ შორის ყველაზე მეტი დრო გიორგი

<sup>1</sup> მაგალითად, 1 ივნისის გადაცემაში სტუდიაში სტუმრად ჰყავდათ „ირაკლი ლლონტი - რეფორმატორების“ ლიდერი, ირაკლი ლლონტი.

ერმაკოვს (39%) აქვს. ფართოდ გაშუქდნენ მერობის სხვა კანდიდატებიც, რომლებსაც საერთო ჯამში მთლიანი დროის 29% დაეთმო.<sup>2</sup> საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას კანდიდატები ძირითადად დადებითად გაშუქდნენ, რაც აისახა კიდეც დადებითი ტონის მაღალ მაჩვენებლებში. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი ტონი მხოლოდ გიორგი ერმაკოვის შემთხვევაში დაფიქსირდა - 5%.



## რუსთავი 2

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ის საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები უმეტესად ვრცელი, ინფორმაციული და ანალიტიკური იყო. ხშირად სიუჟეტებს წინ უძღოდათ საკითხთან დაკავშირებული მანამდე მომხდარი დეტალების მიმოხილვა, რაც მაყურებლებისთვის უფრო გასაგებს ხდიდა სიუჟეტის შინაარსს.

სიუჟეტებში უმეტესად აქცენტი მთავრობაზე, კოალიცია ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე კეთდებოდა. მთავარ გამოშვებებში თვალში საცემი იყო მთავრობისა და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სიუჟეტები, რომლებშიც ხშირი იყო უარყოფითი კონტექსტი. კეთდებოდა აქცენტი პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტს შორის არსებულ დაძაბულობაზე. საკმაოდ დეტალურად გაშუქდა პრემიერმინისტრის პრესკონფერენცია. ყურადღება გამახვილებული იყო კონკრეტულად რამდენიმე საკითხზე, რაზეც ისაუბრა პრემიერმა. თითოეული საკითხის გაშუქების შემდეგ წარმოდგენილი იყო

<sup>2</sup> 2 ივნისის სტუმრად ჰყავდათ ხალხის პარტიის კანდიდატი ჯუმბერ თავართქილაძე, აგრეთვე 5 ივნისს ვრცელი სიუჟეტი მიემდგვნა პატრიოტთა ალიანსის მერობის კანდიდატს, თეიმურაზ მიქელაძეს.


ექსპერტებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების კომენტარები. საერთო ჯამში პრესკონფერენციის გაშუქება კრიტიკული და ამავდროულად უარყოფითი ტონის შემცველი იყო პრემიერის მიმართ.

მეორეს მხრივ, საკმაოდ აქტიურად და ხშირ შემთხვევაში დადებითად შუქდებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მათი აქტივობები. მაგალითად, 7 ივნისის სიუჟეტში უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე გაშუქებული იყო გიორგი მარგველაშვილის ოფიციალური ვიზიტი, მისი შეხვედრები და კომენტარები. აგრეთვე, საკმაოდ დადებით კონტექსტში იყო ნაჩვენები მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი იგივე ცერემონიაზე ოჯახთან ერთად და კადრები, სადაც მის დანახვაზე გარეთ შეკრებილი ხალხი „გრუზიას“ სკანდირებს.

ისევე როგორც სხვა არხებზე, რუსთავი 2-ზეც გაშუქდა გარდაბანში მომხდარი დაპირისპირება (29 მაისი, პირველი სიუჟეტი). სიუჟეტში გამგებელი საუბრობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან პროვოკაციაზე. თუმცა, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ამას უარყოფს. ადგილობრივი მოსახლეობა და ინციდენტში მონაწილე პირები უარყოფენ ყოველგვარ პოლიტიკურ სარჩულს და საუბრობენ იმაზე, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ჩხუბი და გაუგებრობა. მიუხედავად ამისა, სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტმა ასეთი შესავალი გააკეთა: „ჩხუბი ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შორის დაიწყო. ეს წინასაარჩევნო ფიზიკური ანგარიშსწორების კიდევ ერთი ფაქტია, თუმცა ამჯერად მასობრივი.“ მსგავსი ტექსტი სიუჟეტის მსვლელობისას ჟურნალისტმა ისევ გაიმეორა.

რაც შეეხება სუბიექტების გაშუქების დროს, მათ 24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში ჯამში 9 საათი და 12 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 34% ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას ერგო. დათმობილი დროის მიხედვით მათ შემდეგ არიან მთავრობა - 21%, კოალიცია ქართული ოცნება - 18% და პრემიერმინისტრი - 13%. დანარჩენ სუბიექტებს 5 პროცენტი და ნაკლები დაეთმოთ. რაც შეეხება გაშუქების ტონს, ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონის მაჩვენებელი პრემიერმინისტრს ჰქონდა - 24 პროცენტი. თუმცა, აღსანიშნავია რომ მას, ამ 4 სუბიექტს შორის ყველაზე მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი აქვს - 28 პროცენტი.






რაც შეეხება არჩევნების თემას, წინასაარჩევნო თემატიკა უფრო ზოგად პოლიტიკურ კონტექსტში განიხილებოდა. ნაკლებად იყო სიუჟეტები კანდიდატების აქტივობასა და კამპანიებზე. აქცენტი კეთდებოდა წინასაარჩევნო ზეწოლაზე და ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე, ძირითადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

ამ პერიოდში საკმაოდ დიდი დრო დაეთმო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის აკმაშვილ იმამკულიევის რეგისტრაციიდან მოხსნას. სიუჟეტებში ძირითადი კონტექსტი მისი კანდიდატურის უკანონო მოხსნაზე კეთდებოდა, სადაც ცესკო საკმაოდ უარყოფითად წარმოჩინდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით სტუდიაში მიწვეული ჰყავდათ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ იურისტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობდა განემარტა, რატომ მიიღო ცესკომ ასეთი გადაწყვეტილება, წამყვანი გიორგი გაბუნია მას ხშირად აწყვეტინებდა საუბარს, თავის დასკვნას აკეთებდა და ამბობდა, რომ ეს უკანონო გადაწყვეტილება იყო.

როგორც უკვე აღინიშნა, მერობის კანდიდატებს რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში საკმაოდ ცოტა დრო დაეთმო, ჯამში 9 წუთი. დათმობილი დრო ასე გადანაწილდა: ნიკა მელია და კახა კუკავა - 3-3 წუთი, დავით ნარმანია - 2 წუთი და დიმიტრი ლორთქიფანიძე 1 წუთი. კახა კუკავა და დიმიტრი ლორთქიფანიძე მთლიანად ნეიტრალურ კონტექსტში გამოქდნენ. რაც შეეხება მელიას და ნარმანიას, მათ დადებითი გამოქდნის საკმაოდ დიდი წილი აქვთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დავით ნარმანიას აქვს უარყოფითი ტონის წილი - 16 პროცენტი.





**იმედი**


24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში იმედის საინფორმაციო გამოშვებები გამოირჩეოდა დაბალანსებულებით, თემების გაშუქების ფართო სპექტრით და წარმოდგენილი მხარეების ბალანსით. ჟურნალისტები ცდილობდნენ ყოფილიყვნენ მაქსიმალურად ობიექტურები და ნეიტრალურები. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოლიტიკოსები აკრიტიკებდნენ მათ საქმიანობას, იმედის ჟურნალისტები ამას საკმაოდ ნეიტრალურად და დაბალანსებულად გადმოსცემდნენ. (მაგალითად, 4 ივნისს პრემიერმინისტრის მიერ ჟურნალისტების მწვავე კრიტიკა და 27 მაისს ნინო ბურჯანაძის შეფასება).

29 მაისს გარდაბნის ინციდენტი იმედმა შეფასებების გარეშე გააშუქა. სიუჟეტში დეტალურად განიხილეს მომხდარი დაპირისპირება, აჩვენეს კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე და განვითარებული მოვლენების მათი ვერსიები. სიუჟეტის მიხედვით გამოჩნდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი იყო ერთობლივი თანაცხოვრებით და მომხდარ ინციდენტს არ ჰქონია პოლიტიკური სარჩული.


24 მაისიდან 14 ივნისის პერიოდში იმედის ეთერში საკმაოდ დიდი დრო დაეთმო ირაკლი ღარიბაშვილის გაშუქებას. კერძოდ, მის პირდაპირ ჩართვებს 9 ივნისს გამგებლობის კანდიდატების წარდგენისას აჭარაში და 13 ივნისს ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიის შეჯამებისას სპორტის სასახლეში. უნდა აღინიშნოს, რომ 13 ივნისს აგრეთვე იყო ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის ანალოგიური ღონისძიება, რომლის გაშუქებასაც უფრო ნაკლები დრო დაეთმო.

პრემიერმინისტრის პირდაპირი ჩართულობის გაშუქება აისახა სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებაშიც, სადაც ირაკლი ღარიბაშვილს საერთო დროის 27% დაეთმო. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო აგრეთვე ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (25%) და მთავრობას (21%). პრემიერმინისტრისთვის დათმობილი პირდაპირი ეთერი, სადაც ის წინასაარჩევნო პროგრამასა და დაპირებებზე საუბრობდა, გახდა მიზეზი დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლისა, რომელმაც 58% შეადგინა. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მაღალი ის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და კოალიცია ქართულ ოცნებას დაუფიქსირდა - 15%.



რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, ყველაზე მეტი დრო თბილისის მერობის კანდიდატებს დაეთმო - მთლიანობაში 18 წუთი. აღსანიშნავია მერობის კანდიდატებისთვის დამახასიათებელი მაღალი დადებითი ტონი, რომელიც გამოწვეული იყო წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებით. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ის მხოლოდ დავით ნარმანიას გაშუქებისას დაფიქსირდა - 7%.



**მაესტრო**

24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში მაესტრო თავის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გამოეხმაურა ქვეყანაში მიმდინარე ყველა აქტუალურ თემას და მოვლენას. შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში არ შეინიშნებოდა მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური მხარის მიმართ. კრიტიკული სიუჟეტები მზადდებოდა როგორც ახლანდელ, ისე ყოფილ ხელისუფლებაზე, თუმცა, უარყოფითი კონტექსტის გარეშე. მზადდებოდა ბევრი ანალიტიკური სიუჟეტი სხვადასხვა საკითხებზე. გაშუქებული თემების სიმძაფრის მიუხედავად ჟურნალისტები არ ცდილობდნენ საკითხის კიდევ უფრო დამძიმებას და რომელიმე მხარის უარყოფით ან დადებით კონტექსტში წარმოჩენას.


გარდაბანში მომხდარი ინციდენტი მაესტროზე დაბალანსებულად და ნეიტრალურად გაშუქდა. ყურადღება არ იყო გამახვილებული არც პოლიტიკურ და არც ეთნიკურ დაპირისპირებაზე. ნაჩვენები იყო ადგილობრივი მოსახლეობის კომენტარები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ეს უბრალო შელაპარაკების გამო მოხდა.

დღის აქტუალური თემები კიდევ უფრო ვრცლად და დეტალურად სტუდიაში მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილებოდა. ჟურნალისტები გადაცემის ამ ნაწილში საკმაოდ

მომთხოვნები და კრიტიკულები იყვნენ ყველა სტუმრის მიმართ. ცდილობდნენ ოპონირება გაეწიათ მათთვის და გადაცემაში წარმოდგენილი ყოფილიყო განსხვავებული პოზიციები.


აღსანიშნავია 7 ივნისის გადაცემა, როდესაც წამყვანი იყო ხატია ქვათაძე და პირდაპირ ეთერში ჩართული იყო მიხეილ სააკაშვილი. ჩართვა საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა. ჟურნალისტმა ჩართვის დასაწყისში აღნიშნა, რომ რესპონდენტის თხოვნით საუბარი საგარეო პოლიტიკაზე იქნებოდა. თუმცა, ბევრი კითხვა დაისვა საშინაო პოლიტიკაზე, ახლანდელ მთავრობასა და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროინდელ სიტუაციაზე. ჟურნალისტი ხშირად აწყვეტინებდა საუბარს სტუმარს, მისი კითხვები და ტონი უმეტესად ირონიული იყო.

რაც შეეხება მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, 24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში მათ სულ 9 საათი და 25 წუთი დაეთმო. დრო ძირითადად 4 სუბიექტს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: ერთიან ნაციონალურ მოძრაობა - 32%, კოალიცია ქართული ოცნება - 23%, მთავრობა - 21% ხოლო პრემიერმინისტრი 12%. დანარჩენ სუბიექტებს მთელი დროის 3 პროცენტი და ნაკლები ერგოთ. მაესტროზე ნეიტრალური ტონი ჭარბობს. ამ ოთხ სუბიექტს შორის ყველაზე მაღალი დადებითი ტონი პრემიერმინისტრს დაუფიქსირდა - 36 პროცენტი. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ირაკლი ლარიბაშვილს თითქმის თანაბრად 12 და 13 პროცენტი ერგოთ.



რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, მაესტროს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში კანდიდატების აქტივობა და შეხვედრები ყოველდღიურად არ შუქდებოდა. თუმცა, კეთდებოდა სიუჟეტები სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქალაქის მერობის კანდიდატების გეგმები, შუქდებოდა წინასაარჩევნო გარემო. 30 და 31 მაისს გავიდა სიუჟეტი თელავისა და ამბროლაურის მერობის კანდიდატების შესახებ. ნაჩვენები იყო ყველა კანდიდატი და მათი პროგრამები. ასევე 13 ივნისს, არჩევნებამდე 2 დღით ადრე, გავიდა ძირითადი პარტიების საარჩევნო კამპანიების შემაჯამებელი სიუჟეტი.

ამ პერიოდში თბილისის მერობის კანდიდატებისთვის დათმობილი დრო (სულ 36 წუთი) ძირითადად 4 კანდიდატს შორის გადანაწილდა. ესენია: ასმათ ტყაბლაძე (9 წუთი), კახა კუკავა (8 წუთი), ნიკა მელია (7 წუთი) და დავით ნარმანია (7 წუთი). ყველა მათგანის შემთხვევაში დადებითი ტონი ჭარბობს. ასმათ ტყაბლაძის გარდა, სამივე კანდიდატს ასევე დაუფიქსირდა მცირე უარყოფითი ტონის წილი.




### კავკასია

24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში ტელეკომპანია კავკასიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები იყო ნეიტრალური, ინფორმაციული და დაბალანსებული. ჟურნალისტები ცდილობდნენ მაქსიმალურად წარმოეჩინათ მომხდარი ფაქტის მონაწილე ყველა მხარე, ამომწურავად ეჩვენებინათ ყველა დეტალი. მიუხედავად ამისა, გადაცემების უმრავლესობა გამოირჩეოდა მშრალი ფაქტების გადმოცემით და ნაკლებად შეინიშნებოდა


ანალიტიკური ტიპის სიუჟეტები. აქტიურად შუქდებოდა წინასაარჩევნო კამპანია და სხვადასხვა კანდიდატების შეხვედრები მოსახლეობასთან.

გარდაბნის ინციდენტი კავკასიის საინფორმაციო გამოშვებაში პოლიტიკური ქვეტექსტების გარეშე გაშუქდა. ჟურნალისტები ცდილობდნენ დაწვრილებით გადმოეცათ მომხდარი მოვლენა ბევრი ფაქტისა და კომენტარის საშუალებით, არ გაუკეთებიათ შეფასებითი განცხადება მომხდარ დაპირისპირებაზე.

წინა ანგარიშების მსგავსად უცვლელია ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტების ჩამონათვალიც. თითქმის თანაბარი დრო დაეთმოთ მთავრობასა (25%) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (22%). მათ მოსდევთ პრემიერმინისტრი (17%) და კოალიცია ქართული ოცნება (15%). ამ ოთხ სუბიექტს შორის დადებითი ტონი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერმინისტრს აქვს - 45%, ხოლო ყველაზე დაბალი კი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 14%. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ის თითქმის ერთნაირია პირველი სამი სუბიექტისთვის (11%-12%), ხოლო კოალიცია ქართული ოცნებისთვის 16% შეადგენს.



საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე ხშირად თბილისის მერობის კანდიდატები გაშუქდნენ, რომლებსაც მთლიანობაში 30 წუთი დაეთმოთ. წინასაარჩევნო კამპანიის და კანდიდატებისთვის პირდაპირი საუბრით გაშუქების გაზრდამ გამოიწვია დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები. ყველაზე მეტი დრო მერობის კანდიდატებს შორის დავით ნარმანიას დაეთმო (32%), რომელსაც აგრეთვე ყველაზე მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი დაუფიქსირდა - 90%. საკმაოდ დიდია ნიკა მელიას დადებითი ტონის მაჩვენებელიც - 87%.



**ტვ3**

24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით მონაკვეთში ტვ3-ის საღამოს საინფორმაციო გამოშვებები გამოირჩეოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების აქტიური და კრიტიკული გაშუქებით. დიდი დრო დაეთმო საარჩევნო კამპანიას, კანდიდატების შეხვედრებს მოსახლეობასთან და საარჩევნო პროცესის დროს მომხდარ დარღვევებს. მსგავსი ტიპის სიუჟეტებში ტვ3 თანაბრად კრიტიკული იყო როგორც მთავრობისა და კოალიცია ქართული ოცნების, აგრეთვე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ. ასევე, მომზადდა ანალიტიკური სიუჟეტები არჩევნებში მონაწილე სუბიექტებზე ზეწოლაზე, წინასაარჩევნო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასა და თბილისის მერობის კანდიდატების შესახებ.


გარდაბნის მოვლენების გაშუქებისას ტვ3-ის წამყვანმა ინციდენტს პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარი დაპირისპირება უწოდა, რომელთანაც კავშირი ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას.<sup>3</sup> თუმცა, სიუჟეტის მიმდინარეობისას განიმარტა, რომ დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე დაიწყო აზერბაიჯანელ და ქართველ ახალგაზრდებს შორის ჩხუბით, ხოლო იმ ფაქტის გამო რომ დაპირისპირებას პოლიტიკური ელფერი მიეცა ადგილობრივი მოსახლეობა ჟურნალისტების მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი. სიუჟეტში აგრეთვე აჩვენეს

<sup>3</sup> 29 მაისის პირველი სიუჟეტი - „დაპირისპირება პოლიტიკურ ნიადაგზე გვიან ღამით დაიწყო, დღეს დილითაც ეთნიკური აზერბაიჯანელების ერთი ნაწილის საპროტესტო აქცია სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ დააანონსა, თუმცა მოგვიანებით რატომღაც ითქვა, რომ ეს ეთნიკური დაპირისპირება იყო“.




ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების წარმომადგენელთა ურთიერთბრალდებები და კონფლიქტის პროვოცირებაში ერთმანეთის დადანაშაულება.

მონიტორინგის ამ მონაკვეთში ყველაზე მეტი დრო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (27%), მთავრობას (25%), კოალიცია ქართულ ოცნებას (16%) და პრემიერმინისტრს (13%) დაეთმო. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერმინისტრს დაუფიქსირდა - 43%, ყველაზე დაბალი კი ნაციონალურ მოძრაობას - 12%. ნეგატიური ტონის მაღალი მაჩვენებლები აქვთ კოალიცია ქართულ ოცნებას (19%) და ნაციონალურ მოძრაობას (22%).



რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, ყველაზე მეტი დრო თბილისის მერობის კანდიდატებს დაეთმო - საერთო ჯამში 26 წუთი. ყველაზე მეტად დავით ნარმანია, კახა კუკავა, ნიკა მელია და დიმიტრი ლორთქიფანიძე გაშუქდნენ. მერობის კანდიდატების შესახებ სიუჟეტები ძირითადად საარჩევნო შეხვედრებს ეხებოდა, რაც აისახა კიდევაც დადებითი ტონის მაღალ მაჩვენებლებში.



**დასკვნა**

მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში არხების უმეტესობაზე მზადდებოდა კრიტიკული სიუჟეტები მთავრობისა და ხელისუფლების წევრების შესახებ. სხვა არხებისგან განსხვავებით რუსთავი 2-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში შედარებით მეტად შეინიშნებოდა მთავრობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.

ამ პერიოდში საკამოდ მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებლები დაუფიქსირდა პრემიერმინისტრს. რაც ძირითადად მისი აქტივობებით იყო გამოწვეული. მონიტორინგის ამ პერიოდს დაემთხვა მისი პრესკონფერენცია და საარჩევნო კამპანიის ოფიციალური დახურვა.

რაც შეეხება წინასაარჩევნო გარემოს და კანდიდატების აქტივობებს, არხების უმეტესობაზე ხშირად შუქდებოდა მათი აქტივობები. თუმცა, ზოგიერთ არხზე, მაგალითად, რუსთავი 2-სა და მანსტროზე საარჩევნო თემა უფრო მეტად ზოგად პოლიტიკურ კონტექსტში განიხილებოდა და ნაკლებად იყო ორიენტირებული კანდიდატების ყოველდღიურ გაშუქებაზე.

ამ პერიოდში ყველა არხზე ერთ-ერთი აქტუალური თემა გარდაბანში მომხდარი ინციდენტი გახდა. ეს ფაქტი იმითაცაა საინტერესო, რომ სხვადასხვა არხებმა მომხდარი განსხვავებულად გააშუქეს. სხვადასხვა საინფორმაციოს ყურების შემდეგ მაყურებელს განსხვავებული შთაბეჭდილება დარჩებოდა თუ რა მოხდა გარდაბანში და რა იყო ამის მიზეზი. ზოგიერთმა არხმა ინციდენტი საკმაოდ ნეიტრალურად გააშუქა ხოლო ზოგიერთმა ამას პოლიტიკური დაპირისპირება უწოდა.